ოქმი:**ო37. 3723293001**
თარიღი:**20/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნათია *ღაჟონიას*

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი, 12 ოქტომბერი
ქ. ოზურგეთი
13.00-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ტარიელ აროშიძე-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები,საკრებულოს წევრები,

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე ტარიელ აროშიძე მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ ნათია *ღაჟონია* არის საუკეთესო ადამიანი, მეგობარი და საკრებულოს წევრი. მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. განაცხადა, რომ ნათია *ღაჟონია* რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა, ნათია *ღაჟონიამ* საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში:ნათია *ღაჟონიამ* აღნიშნა, რომ მის მიერ მხარდაჭერილი პროექტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო:“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“,“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი“,2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი.“ისაუბრა

საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, სოფლებში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, გადაუჭრელ პრობლემებზე. აღნიშნა, რომ უშუალოდ მისი შუამდგომლობითა და მერიის ჩართულობით მოგვარებული იქნა სოციალური მიმართულების პრობლემების (მედიკამენტების შეძენა,სამკურნალო დანიშნულებით თანადაფინანსების მიღებაში დახმარების გაწევა) გადაწყვეტა: ინფრასტრუქტურული პროექტების(გზები,წყალმომარაგების ქსელი, სანიაღვრე არხები, დაზიანებული გზების *ორმულის* შეკეთება). სტიქიით დაზარალებულ ოჯახებთან კომუნიკაცია-დახმარება. ჰუმანიტარული ტვირთის განაწილებაში ჩართულობა.საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობით მიღებული შედეგები: სოფლის ცენტრში ბავშვთა გასართობი სასრიალო ინვენტარის მოწყობა, ხიდის შეკეთება-რეაბილიტაცია,სანიაღვრე არხების მოწყობა,გზების(ოქროს მუხურო) დაგება, *ვაშტიალის* უბანში ბეტონის გზის დაგება.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ ნათია *ღაჟონია* არის საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. აღინიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე ტარიელ აროშიძე და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად შეესაბამება რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ტარიელ აროშიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი